

**სააქციო საზოგადოება „ნიკორა“-ს (ს/კ 200050675)
აქციონერთა მორიგი საერთო კრების ოქმი #27/01/2023-1**

აქციონერთა კრება გაიმართა 2023 წლის 27 იანვარს წესდებით გათვალისწინებული წესით.

კრების ჩატარების ადგილი: ქ.თბილისი, ა.მრევლიშვილის N2

კრების დაწყების დრო: 14:00 საათი

აქციონერთა მორიგი საერთო კრების კენჭისყრის შედეგები

დღის წესრიგი:

სს „ნიკორას“ 2022 წლის ფინანსური შედეგების განხილვა,

- სს „ნიკორა“-ს გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი წინადადების განხილვა, სს ნიკორას ჩვეულებრივი კლასის აქციების მფლობელ აქციონერებზე დივიდენდის განაწილების შესახებ.

- სს „ნიკორას“ 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხის განხილვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, დამსწრე კაპიტალის (აქციათა) 92.41190%-ის, ხმის უფლების მქონე 5 516 169.00 ცალი აქციის მესაკუთრე აქციონერთა გადაწყვეტილებით, კერძოდ:

1. 2022 წლის ფინანსური შედეგების გათვალისწინებით აქციონერებისთვის წინასწარ მიწოდებული და გაცნობილი ოდენობისა და გრაფიკის შესაბამისად, სს „ნიკორა“-ს მიერ განხორციელდეს შვილობილი კომპანიებისგან დივიდენდის სახით მიღებული ან/და მისაღები მოგების ნაწილის ან/და სს ნიკორას მიერ დაგროვებული გაუნაწილებელი მოგების განაწილება საზოგადოების ჩვეულებრივი კლასის აქციების მფლობელ აქციონერებზე განაწილების მომენტში მათ საკუთრებაში არსებული წილების პროპორციულად.
2. ასევე დამტკიცებულ იქნას სს „ნიკორას“ 2023 წლის ბიუჯეტი, აქციონერებისთვის უკვე წარდგენილი და ცნობილი სახით.